

ბიომასის (წალაგის) სათბოთ რესურსად გამოყენებისა და წალაგის მიწოდების ჯაჭვი



გასხვლა

1



სპეც. გეგმიკით წალაგის შეგროვება & ძნებად შეპვრა

2



წალაგის საწყობში გრანსპორტირება-განთავსება

3



წალაგის შენახვა-გაშრობა ბუნებრივ პირობებში

4



გამომშრადი წალაგის დაქუცმაცება

5



გრანსპორტირება მომხმარებელამდე

6



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ბროშურა მომზადებულია პროექტი
"ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური
გეგმვები, როგორც მდგრადი
გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების
ხედმომხმარებელი ქადაგებისთვის" ფარგლებში,
რომელიც ხორციელდება ევროკავშირისა და
თედავის მუნიპალიტეტის
თანადაფინანსებით

დეტალური ინფორმაციის მისაღებად
დაგვიკავშირდით:
თბილისი, 0160, დ.გამრეკელის ქ.#19
ოფისი #611, VI სართული
ტელ.: +995 32 224 25 40, 224 25 41,
ფაქსი: +995 32 224 25 42
ელ.ფოსტა: EECGEO@EECGEO.ORG
ვებ.გვერდი: WWW.EECGEO.ORG



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის
შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის
ცენტრი საქართველო (WWW.EECGEO.ORG) და შესაძლოა, რომ იგი
არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.


სუფთა ენერგოტექნოლოგიები იყალბოთელ ბავშვებს



ყოველწლიურად დაიგეგმება
დაახლოებით 180,000 კვტ. სთ. ენერგია,
81,6 - ტონით შემცირდება CO₂-ემისია
ათმოსფეროში და 19,800 ლარით
შემცირდება ჯამური დანახარჯები
ენერგიაზე.

ენერგოეფექტური ღონისძიებები და განახლებადი ენერგოტექნოლოგიები იყალთოს საბავშვო ბაღში

საქართველოში საბავშვო ბაღების უმეტესობა აშენებულია მე-20 საუკუნის 70-ან წლებში და მათი თბოტექნიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება შენობის თანამედროვე მოთხოვნებს, რაც ენერგიის მნიშვნელოვანი დანაკარგების წყაროა.




განხორციელებული ენერგოეფექტური ღონისძიებები შეამცირებენ ენერგომომხმარებას, ენერგოგადასახადებს და უარყოფით ზეგავლენას გარემოზე.

საბავშვო ბაღის სხვენის, გარე კედლებისა და საძირკველის თბოიზოლაციისთვის გამოყენებული ცეცხლმედეგი მასალები - ქვამბისი და ექსტრუდირებული ქაფპოლისტიროლის ფილები ხასიათდებიან დაბალი თბოგამტარობით. ასევე აქვთ ხმისა და ჰიდრო საიზოლაციო თვისებები.



ძველი, ხის ერთმაგი შემინვის კარ-ფანჯრის ჩანაცვლება ორმაგი დაბალ ემისიური შემინვის მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრით უზრუნველყოფს ზაფხულის მცხუნვარე მზის თბურ



გამოსხივების მხოლოდ 25% შეღწევას შენობაში, დანარჩენი კი აირეკლება. ზამთარში კი პირიქით, სითბოს მხოლოდ 25% გაიჟონება გარეთ (იკარგება), ხოლო 75% რჩება ოთახში

თანამედროვე ვენტილაციის სისტემა PRANA ჰაერის მოდინებით-გამწოვი კედლის რეკუპერატორი ქმნის ჯანსაღ მიკროკლიმატს. იგი უზრუნველყოფს ოთახიდან უჟანგბადო, ტენიანი ჰაერის განდევნას და სუფთა ჰაერის გარედან შემოღებას ფანჯრების გახსნისა და თბური დანაკარგების გარეშე.




არსებული განათების სისტემის შეცვლა ენერგოეფექტური შუქდიოდური LED სანათებით 5-ჯერ შეამცირებს დანახარჯებს განათებაზე. ასეთი სანათის ეფექტურობა დაახლოებით 11,5-ჯერ მეტია ვიდრე ვარვარა და 4-ჯერ მეტი ვიდრე ლუმინესცენტური ნათურის ეფექტურობა.



LED სანათები ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა (ლუმინესცენტურისგან განსხვავებით არ შეიცავს ვერცხლისწყალის ორთქლს), და მათი მუშაობის ხანგრძლივობა აღემატება 30 ათას საათს.

ღლისთვის, ტრადიციული წყალგამაცხელებელი სისტემის ყველაზე ხელმისაწვდომ ალტერნატივას მზის წყალგამაცხელებელი სისტემა წარმოადგენს. კოლექტორი მზის რადიაციას გარდაქმნის თბურ ენერგიად



და აცხელებს წყალს, რომელიც ინახება თბოიზოლირებულ ავზში. ავზში წყლის საშუალო ტემპერატურა ზაფხულის თვეებში 45-80 გრადუსამდე აღწევს, ზამთარში კი 20-40 გრადუსებს შორის მერყეობს.

საბავშვო ბაღში დამონტაჟებული მზის კოლექტორი ყოველწლიურად უზრუნველყოფს 150-200 ლ. წყლის გაცხელებას.

5,45 კვტ ჯამური დადგმული სიმძლავრის მქონე ქსელთან მიერთებული მზის ფოტოელექტრული სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია ქსელის ინვერტორის საშუალებით სტანდარტიზირდება და მიეწოდება შენობის შიდა ქსელს. შენობაში არსებული ელექტრომონოცილობები მოიხმარენ მზის ფოტოელექტრული სისტემის მიერ გამომუშავებულ ენერგიას, ხოლო ამ ენერგიის ნაკლებობის შემთხვევაში, დამატებით ენერგიას მიიღებენ ქალაქის ქსელიდან. იმ შემთხვევაში თუ სისტემა გამოიმუშავებს ჭარბ ენერგიას, ვიდრე დროის მოცემულ მომენტში შენობის ენერგომომხმარებელი მოწყობილობისთვისაა საჭირო, მაშინ ჭარბი ენერგია გადაედინება გამანაწილებელ ქსელში. მზის მიკრო ელექტროსადგურის მოსალოდნელი ყოველწლიური გამომუშავება იქნება 7350 კვტ. სთ. აღნიშნული მზის ენერგოტექნოლოგიების დანერგვის შედეგად საბავშვო ბაღში შემცირდება ელექტროენერგიის გადასახადი და ნახშირორჟანგის გატყორცნა ატმოსფეროში.

